არქეოლოგია ♦ Archaeology ♦ Археология

პაატა ბუხრაშვილი[1]
ფელიქს ბლოხერი[2]
გურამ ყიფიანი[3]
ზურაბ ცქვიტინიძე[4]
შორენა დავითაშვილი[5]
იუდით გვენ შულცი[6]
ბეატრის ვოლლნი[7]
მაქს მორტენ მიხალკი[8]

მთა „ნაზარლებზე“ (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი) ქართულ-გერმანული ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის 2018 წლის სამუშოების მოკლე ანგარიში

უკვე მეორე წელია, რაც მთა „ნაზარლებზე“ – (შირაქი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი) მდებარე გვიანი ბრინჯაოადრე რკინის ხანის ნაქალაქარს (ტაბ. I სურ. 1), ილიას უნივერსიტეტის ვიზუალური ანთროპოლოგიისა და ლოკალური ისტორიის ლაბორატორიისა* და ჰალლეს (გერმანია) მარტინ ლუთერის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის არქეოლოგიისა და ხელოვნების ინსტიტუტის** ერთობლივი ექსპედიცია შეისწავლის.

ექსპედიცია დაფინანსებულია გერმანიის მხარის მიერ; კვლევითი პროექტი კი, ილიას უნივერსიტეტში, ჯერ კიდევ 2007 წელს შემუშავებული საუნივერსიტეტო პროექტის გაგრძელებას წარმოადგენს.

---

[1] პროფ. დოქ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

[2] პროფ. დოქ., ჰალლეს მარტინ ლუთერის უნივერსიტეტი

[3] პროფ. დოქ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

[4] მაგისტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

[5] მაგისტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

[6] სტუდენტი, ჰალლეს მარტინ ლუთერის უნივერსიტეტი

[7] სტუდენტი, ჰალლეს მარტინ ლუთერის უნივერსიტეტი

[8] სტუდენტი, ჰალლეს მარტინ ლუთერის უნივერსიტეტი

* https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/AcademicDepartments/mecnierebata-da-xelovnebis-fakulteti-269/centrebi-588/vizualuri-antropologiisa-da-lokaluri-istoriis-laboratoria-1027

** http://orientarch.uni-halle.de/

მიმდინარე 2018 წელს ექსპედიცია მუშაობას 27 აგვისტოს შეუდგა.[9] ექსპედიციის შემადგენლობა:

გერმანული მხარე: პროფ. ფელიქს ბლოხერი, იუდით გვენი (სტუდენტი), ბეატრის ვოლლნი (სტუდენტი) და მაქს მორტენ მიხალკი (სტუდენტი).

ქართული მხარე: პროფ. პაატა ბუხრაშვილი, პროფ. გურამ ყიფიანი, ზურაბ ცქვიტინიძე (არქეოლოგი), შორენა დავითაშვილი (არქეოლოგი).

მუშაობის დაწყების პირველსავე დღეს 5 მეტრით გაფართოვდა წინა წელს გაჭრილი ე. წ. „კარიბჭის“ ჭრილის დასავლეთი მხარე, ანუ მოიხაზა 5x9 მ არეალი, რომელიც შემდგომ დღეებში გაიწმინდა (ტაბ. I, სურ. 2).

27 აგვისტოსვე, ნაქალაქარის ზედა ტერასაზე მოიხაზა 10x10 მ კვადრატი. ჭრილის სამუშაო სახელწოდებაა Plateaschnitt 1 (ტაბ. II, სურ. 1).

მომდევნო დღეების განმავლობაში თანდათანობით ვაღრმავებდით ამ ჭრილს. ჭრილისთვის დამახასიათებელია მრავალრიცხოვანი კერამიკის ფრაგმენტები. თიხის კეცისა და ორნამენტის მიხედვით ანალოგიურია წინა წელს დაფიქსირებული კერამიკასთან. ამ ჭრილის სამხრეთ კიდესთან დაფიქსირდა საბეჭდავი 5 ოთხსხივა ვარსკვლავით.

ამ ჭრილზე გამოიკვეთა ორი სამშენებლო ფენა – ზედაპირდან 5-6 ს-იდან 25 ს-მდე და ზედაპირიდან 25-50 ს-მდე (ტაბ. II, სურ. 2).

10.09.2018 – ზედა ტერასის ცენტრალურ ნაწილში გადაწყდა ახალი ჭრილის გაჭრა –სამუშაო სახელწოდება Plateauschnitt 2. თავდაპირველად აიზომა 10x5 მ არეალი, თუმცა მეორე დღეს, გამომდინარე ვითარებიდან (მის სამხრეთ დასავლეთ კუთხეში გამოვლინდა ბრინჯაოს ნივთების გროვა) ჭრილი სამხრეთით 2 მ-ით გაფართოება. ამ ჭრილის გაწმენდის დაწყებისთანავე გამოჩნდა მცირე ზომის თიხის ჭურჭელი – სასმისი (ტაბ. III, სურ. 1-2).

11.09.2018 – ნამოსახლარის ტერიტორიაზე მიმდინარე არქეოლოგიური საველე სამუშაოების პროცესში, თამამად შეიძლება ითქვას, უნიკალური, ბრინჯაოს სამეურნეო და საკულტო ნივთებისგან შემდგარი განძი გამოვლინდა, რომელიც ნაქალაქარის ციტადელის ცენტრალურ ნაწილში მდებარე საკულტო ნაგებობის ინტერიერში, დასავლეთ კედელთან იყო დაუნჯებული (ტაბ. IV, სურ. 1-2-3-4).

---

[9] მიმდინარე წელს ძეგლზე გეომაგნიტური დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის პროფ-მა იორგ ფასბინდერმა (Prof. Dr. Jörg Faßbinder. Ludwig-Maximilians-Universität München)

აღმოჩნდა: ბრინჯაოს მახვილის 457 იმიტაცია (458-ე ბრინჯაოს მახვილის ძალზედ ფრაგმენტირებული იმიტაცია აღმოჩნდა განძის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე კონცენტრირებული კერამიკის ალაგების შემდეგ) (ტაბ. V, სურ. 1-2); შედგენილტარიანი კახური ტიპის ბრინჯაოს მახვილი (ტაბ. VI, სურ. 1-2) და სატევარი (ტაბ. VII, სურ. 1-2); ორპირი აღმოსავლურკავკასიური ცული (ტაბ. VIII, სურ. 1-2) და მინიატურული ცული (ტაბ. IX, სურ. 1); ბრინჯაოსვე ნამგალი (ტაბ. IX, სურ. 2); აფთები? (ტაბ. X, სურ. 1-2); შუბისპირები (ტაბ. XI) და დისკოები (ტაბ. XII სურ. 1-2).

14.09.2018 – Plateauschnitt 2-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (მთლიანობაში კი ნაგებობის ცენტრში) მნიშვნელოვანი ბრინჯაოს არტეფაქტები აღმოჩნდა: ბრინჯაოს მცირე ზომის ირმის სკულპტურა (ტაბ. XIII, სურ. 1- 2) და ბრიჯაოსვე მომრგვალებულთავიანი საკინძი (ტაბ. XIV, სურ. 1); ხოლო ჭრილის სამხრეთ კიდესთან, ბრინჯაოს ცენტრალურამიერკავკასიური ტიპის ისრისპირი (ტაბ. XIV, სურ. 2).

ამ დღესვე, კარგად გამოიკვეთა წრიული (ოვალური?) ნაგებობის კედლის კონტური (ტაბ. XV, სურ. 1).

მომდევნო დღეების განმავლობაში, ნაგებობის სამშენებლო ტრადიციის დასაფიქსირებლად, საფუძვლიანად გასუფთავდა გამოვლენილი კედელი. პარალელურად, ზედაპირიდან 70 სმ-დე დაღრმავდა ნაგებობის ინტერიერი. გაიწმინდა და დაფიქსირდა ბრინჯაოს განძის სიახლოვეს კონცენტრირებული კერამიკა (ტაბ. XV, სურ. 2).

18.09.2018 – ბოლო სამუშაო დღეს გრაფიკულად დაფიქსირდა და ჩაიხატა Plateauschnitt 2 (ტაბ. XVI, სურ. 2).

სამუშაოს დასრულების შემდეგ, მომავალ წელს არქეოლოგიური სამუშაოების განახლების მიზნით, მთლიან თხრილს (Plateauschnitt 2) გადაეფარა მკვრივი ქსოვილი და დაიფდარა მიწის თხელი ფენით.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მიერ გამოვლენილი სამლოცველო, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ჯერ კიდევ 1977-78 წწ-ში შესწავლილი შილდის სამლოცველოს მსგავსია.[10]

ნაზარლების ზედა ტერასაზე გამოვლენილი ეს სამლოცველოც წრიული ფორმისაა, რომლის კედლებიც (სიგანე – 1-1.5 მ) მკვიდრად ნაგებია საგანგებოდ ნარჩევი დაუმუშავებელი ლოდებით, რომლის შიგთავსიც ხურდა ქვებით არის შევსებული. სავარა-

[10] ბ. მაისურაძე, ლ. ფანცხავა. შილდის სამლოცველო (კატალოგი). კაე-ს შრომები VII, მეცნიერება. თბ. 1984. გვ. 113.

უდოდ, კედლის სიმაღლე, აქაც 1.5 მეტრი მაინც უნდა ყოფილიყო, რომელსაც, როგორც შილდის სამლოცველოზე, შიდა მხრიდან თახჩები უნდა ჰქონოდა, სადაც შეწირული ნივთები ინახებოდა. ამაზე მიგვითითებს მასალის აღმოჩენა იატაკის დონეზე, ინტერიერში, დასავლეთ მხარის კედლის ძირთან, რომელიც აქ ამ კედლის დაქცევის შემდეგ უნდა იყოს ჩაწოლილი ჩამონგრეული ქვების ქვეშ.

სამლოცველოს შემოსასვლელი აღმოსავლეთ მხრიდან უნდა ჰქონოდა და მის ცენტრში განლაგებული უნდა ყოფილიყო ოთხკუთხა ფორმის საკურთხეველი, სადაც აღმოჩნდა ირმის მცირე ზომის სკულპტურაც.

სამლოცველოზე, ისევე როგორც ნაზარლების ძეგლზე აღმოჩენილი კერამიკა ტიპიურია ზოგადად იორ-ალაზნის ორმდინარეთში კარგად შესწალილი გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის კერამიკისა და სავარაუდოდ, ქრისტემდე XIV-XII სს-ით უნდა დათარიღდეს.

შესაბამისად, ამავე პერიოდით შეიძლება დათარიღდეს ზოგადად ნაზარლების მთაზე განლაგებული ეს ნამოსახლარიც.

Paata Buchraschwili[11]
Felix Blocher[12]
Guram Kipiani[13]
Zurab Tskvitinidze[14]
Schorena Dawitaschwili[15]
Judith Gwen Schulz[16]
Beatrice Wollny[17]
Max Morten Michalk[18]

Ausgrabungen in der Wallanlage Nazarlebi (2018)

Kurzbericht

Seit 2017 finden archäologische Ausgrabungen in der Wallanlage Nazarlebi statt(Tab. I, Abb. 1). Die Erforschung der Anlage verläuft im Rahmen einer Kooperation zwischen dem Laboratorium für visuelle Anthropologie und lokale Geschichte der Staatlichen Ilia-Universität und dem Seminar für Orientalische Archäologie und Kunstgeschichte der Martin-Luther-Universität Halle-Wittenberg. Das Grabungsprojekt wird von der deutschen Seite finanziert. Hierbei handelt es sich um die Fortsetzung des Forschungsprojekts, welches 2007 an der Staatlichen Ilia-Universität anfing.

Am 27.08.2018 hat die zweite Grabungskampagne begonnen.[19] Die Teilnehmer auf deutscher Seite Prof. Felix Blocher und Archäologiestudenten: Judith Gwen Schulz, Beatrice Wollny und Max Morten Michalk.

Auf georgischer Seite: Prof. Paata Bukhrashvili, Prof. Guram Kipiani, Zurab Tskvitinidze (Archäologe) und Shorena Davitashvili (Archäologin).

Am ersten Arbeitstag wurde der sog. Torschnitt von dem letzten Jahr gesäubert und um 5 m westlich erweitert. Es wurde 5x9 m Fläche abgesteckt und in den folgenden Tagen freigelegt (Tab. I, Abb. 2).

An gleichem Tag wurde auf der oberen Terrasse eine Fläche 10x10 m abgesteckt. Arbeitstitel des Schnittes lautet Plateauschnitt 1 (Tab. II , Abb. 1).

---

[11] Prof. Dr., Staatliche Ilia-Universität

[12] Prof. Dr. phil. habil., Martin-Luther-Universität Halle-Wittenberg

[13] Prof. Emeritus, Dr., Staatliche Ilia-Universität

[14] Meister, Staatliche Ilia-Universität

[15] Meister, Staatliche Ilia-Universität

[16] Archäologiestudentin, Martin-Luther-Universität Halle-Wittenberg

[17] Archäologiestudentin, Martin-Luther-Universität Halle-Wittenberg

[18] Archäologiestudent, Martin-Luther-Universität Halle-Wittenberg

[19] Die Geomagnetische Prospektion wurde von Prof. Dr. Jörg Faßbinder (Ludwig-Maximilians-Universität. München) durchgeführt.

In den folgenden Tagen erfolgte das Abtiefen dieses Schnittes. In diesem Schnitt wurden zahlreiche Keramikfunde freigelgt. Anhand der Warentypen und Muster stimmen die Keramikfunde mit den vorjährigen Funden aus Nazarlebi überein. Am südlichen Rand dieses Schnittes wurde auch ein Stempel mit 5 vierkantigen Sternen versehen.

In diesem Schnitt sind zwei Bauphasen zu vermuten. Die erste Baustrukturen haben sich gleich nach der Entfernung des rezenten Bodens gezeigt, ca. 5-6 cm tief und die zweite ca. 25-50 cm (Tab. II, Abb. 2).

Am 10.09.2018 wurde von den Grabungsleitern entschieden, auf der obersten Terrasse, ziemlich zentral einen neuen Schnitt abzustecken. Es wurde eine 10X5 m Fläche abgemessen. Der Arbeitstitel dieses Schnittes: Plateauschnitt 2. Nach der Entfernung des Humuses wurde ein kleines, gut erhaltenes, flaschenartiges Gefäß entdeckt (Tab.III, Abb. 1-2).

An dem folgenden Tag wurde der Schnitt südlich um 2 m erweitert.

Der 13. Arbeitstag (11.09.2018) war besonders erfolgreich für die Grabungskampagne (Tab. IV, Abb. 1-2-3-4). Ein einzigartiger Depotfund kam ans Licht. Dieser war östlich des westlichen Teiles des rundlichen sakralen Baus gehortet und beinhaltete die aus Bronze gefertigten sakralen und landwirtschaftlichen Gegenstände sowie Waffen, insgesamt 457 Stück Schwertnachbildungen (einige Tage später wurde noch eine Schwertnachbildung im stark fragmentierten Zustand nord-östlich von dem Depotfund, nach dem Abräumen der dicht konzentrierten Keramikgefäßfragmente gefunden), (Tab. V, Abb. 1-2) sog. “Kachetisches Schwert” mit dem zusammengesetzten Griff (Tab. VI, Abb. 1-2) und ein ähnlicher Dolch (Tab. VII, Abb. 1-2), eine ostkaukasische Doppelaxt (Tab. VIII, Abb. 1-2) und eine Miniaturaxt (Tab. IX, Abb. 1), eine Sichel (Tab. IX, abb. 2) unterschiedliche Lanzenspitzen, 2 „Aphti“ (Tab. X, abb. 1-2) und Diskos (Tab. XII, Abb. 1-2).

Weitere wichtige Bronzefunde wurden am 14.09.2018 entdeckt. Im südöstlichen Bereich des Plateauschnitt 2 wurden kleine Hirsch Statuette (Tab. XIII, Abb. 1- 2) und eine Nadel mit einem gerundeten Ende (Tab. XIV, Abb. 1) ausgegraben und mittig, am südlichen Rand des Schnittes eine Pfeilspitze (Tab. XIV, Abb. 2).

Am selben Tag wurden die Konturen der Steinsetzung erfasst (Tab. XV, Abb. 1).

An den folgenden Tagen wurde diese präpariert. Parallel wurde der östliche Bereich des Schnittes abgetieft. Besonders sorgfältig wurden die dicht konzentrierten Keramikgefäßfragmente in der Nähe von dem Depotfund präpariert, fotografiert und abgeräumt (Tab. XV, Abb. 2).

Am letzten Grabungstag (18.09.2018) wurden die Befunde des Plateauschnitt 2 gezeichnet und nivelliert (Tab. XVI Abb. 2). Anschließend wurde der Schnitt mit festem Stoff bedeckt und mit Erde überschüttet.

Anhand des aktuellen Standes lässt sich vermuten, dass es eine Analogie zwischen dem sakralen Bau auf Nazarlebi und dem bereits 1977-78 von der kachetischen archäologischen Expedition ausgegrabenen Heiligtum von Schilda besteht.

Dieser sakrale Bau auf der obersten Terrasse der Wallanlage ist rund. Die Breite der Mauer beträgt ca. 1 m. Die Mauer ist aus großen behauenen Steinen zusammengesetzt, die in zwei Reihen angeordnet sind und in der Mitte mit Geröllsteinen gefüllt.

Wir vermuten, dass die Mauer, ähnlich wie in Schilda ca. 1,5 m hoch sein könnte und eventuell mit Ablagefächern innerseits versehen waren. Die Fächer waren für die Weihgabe vorgesehen. Den Grund zur Vermutung gibt die Lage des Depotfundes: Im Innenraum, auf dem Boden, unter Steinschutt.

Der Eingang wird von Osten vermutet. Im Zentrum des Baus sollte sich der viereckige Altar befinden. Darauf weist auch die Hirschstatuette hin, diese dort entdeckt wurde.

Die Keramik von dem Plateauschnitt 2 sowie aus anderen Schnitten auf Nazarlebi gehören zu dem Ior-Alasani Kulturkreis und sind mit der Spätbronze- Früh Eisenzeit (XIV-XII Jh. V. Chr) zu datieren.

Diese Datierungsvorschlag gilt auch für die gesamte Anlage.

ნაზარლები-2018 გუნდი
Die Nazarlebi-2018 Arbeitsgruppe

ტაბ. I Tab. I

სურ. 1 Abb. 1

სურ. 2 Abb. 2

ტაბ. II Tab. II

სურ. 1 Abb. 1

სურ. 2 Abb. 2

ტაბ. III Tab. III

სურ. 1 Abb. 1

სურ. 2 Abb. 2

ტაბ. IV Tab. IV

სურ. 1 Abb. 1

სურ. 2 Abb. 2



სურ. 3 Abb. 3

სურ. 4 Abb. 4

ტაბ. V Tab. V

სურ. 1 Abb. 1

სურ. 2 Abb. 2

ტაბ. VI **Tab. VI**

სურ. 1 **Abb. 1**

სურ. 2 **Abb. 2**

ტაბ. VII Tab. VII

სურ. 1 Abb. 1

სურ. 2 Abb. 2

ტაბ. VIII Tab. VIII

სურ. 1 Abb. 1

სურ. 2 Abb. 2

ტაბ. IX Tab. IX

სურ. 1 Abb. 1

სურ. 2 Abb. 2

ტაბ. X Tab. X

სურ. 1 Abb. 1

სურ. 2 Abb. 2

ტაბ. XI Tab. XI

სურ. 1 Abb. 1

ტაბ. XII **Tab. XII**

სურ. 1 **Abb. 1**

სურ. 2 **Abb. 2**

ტაბ. XIII Tab. XIII

სურ. 1 Abb. 1

სურ. 2 Abb. 2

ტაბ. XIV Tab. XIV



სურ. 1 Abb. 1

სურ. 2 Abb. 2

ტაბ. XV **Tab. XV**

სურ. 1 **Abb. 1**



სურ. 2 **Abb. 2**

ტაბ. XVI **Tab. XVI**



სურ. 1 **Abb. 1**